



ბრძანება N 183

„29“ 08 2017 წელი

ქ. თბილისი

„მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ წინადადების გასაჩივრებისთვის გათვალისწინებული საპრეტენზიო განაცხადის ფორმის დამტკიცებისა და საპრეტენზიო განაცხადის წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 19 ივლისის N154 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე, 55-ე, 56-ე და 63-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დანყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნებისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსის 2017 წლის 29 აგვისტოს N986728 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,


ებრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 19 ივლისის N154 ბრძანებაში და ბრძანების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
 „2. მასწავლებლის მიერ მასწავლებლის შეფასების შედეგებისა და მასწავლებლისთვის სქემით განსაზღვრული სტატუსის მინიჭების, შენარჩუნებისა და შეწყვეტის შესახებ შეფასების ჯგუფის წინადადების გასაჩივრების ვადად განისაზღვროს 2017 წლის 18 სექტემბრიდან 2017 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით პერიოდი.“
2. დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - tpdc.gov.ge განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
3. ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6. 0131).

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი

დირექტორის მოადგილე
მანანა რატიანი




ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

დავით ბურჭულაძე



უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის უფროსი

ეკატერინე შარაშენიძე



იურისტი

თეონა კაპანაძე

